ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

შენიშვნა: ქ. რუსთავში, შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და საწარმოში დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის (აგლომერაციის საწარმოს) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოკვეთილი უზუსტობებისა და დასაზუსტებელი საკითხების, მათ შორის სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წერილობით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით, სააგენტოს 2022 წლის 24 აგვისტოს (წერილი N 21/4733) და 3 ოქტომბრის (წერილი N 21/5814) წერილების საფუძველზე შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება და შპს „ფერო ელოის ფროდაქშენს“ დაევალა დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილები N5036 და N5932).

N	**შენიშვნების და წინადადებების ავტორები**	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშის თავში N2 (საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა) მოცემული არ არის ინფორმაცია საწარმოს 500 მეტრიან საზღვარში მდებარე შპს „რუსთავის ფოლადზე“, რომელიც აგრეთვე არ არის გათვალისწინებული ფონურ დამბინძურებლად და ასახული არ არის კუმულაციურ ზემოქმედებაში. ამასთან, ტერიტორიის აღწერილობით ნაწილში უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტად განხილულია მდ. მტკვარი (2740 მეტრის მანძილზე), მაშინ როდესაც საწარმო მარის არხი ობიექტიდან დაცილებულია დაახლოებით 67 მ-ით;	კომპანიის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში განხილულია კუმულაციური ზემოქმედების შეფასება. დოკუმენტში წარმოდგენილია საწარმოს ტერიტორიიდან 500 მ-იან რადიუსში არსებული ობიექტების შესახებ ინფორმაცია, რომლის მიხედვით 500 მეტრის რადიუსის საზღვრებში ხვდება: შპს „ინდუსტრია კირის“ კირის წარმოების, შპს „ჯეოფერო მეტალის“ და შპს „ოზ გრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების, შპს „მაქს იმპორის“, შპს „ლევ 2019“-ის (ყოფილი შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია“) ცემენტის საწარმო და შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“

			გაფრქვევის ის წყაროები, რომელიც ხვდება 500 მეტრიან რადიუსის ზონაში. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, გათვალისწინებული იქნა, ასევე ფონური მახასიათებლები ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით (125-250 ათასი მოსახლეობა). ამასთან ელექტრონული გადამოწმებით შპს „რუსთავის ფოლადის“ ობიექტი არ მდებარეობს, საწარმოს 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარში. დოკუმენტაციაში მითითებულია მანძილი საწარმოდან მარის არხამდე (60მ). რაც შეეხება საქმიანობის შედეგად აღნიშნულ არხზე ზემოქმედებას საჯარო განხილვაზე კონსულტანტმა განმარტა, რომ კომპანიას არ გააჩნია ჩამდინარე წყლის ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩაშვება. ამასთან მარის არხი არის შემოსაზღვრული ზღუდით, შესაბამისად მასზე ზემოქმედება არ არის განხილული გზშ-ის ანგარიშში.
2	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	აღნიშნული პროექტის არატექნიკურ რეზიუმეში, გვ. N9-ზე წერია, რომ წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ საქმიანობის სკოპინგის ანგარიშს. ეს მოცემულობა არ შეესაბამება სიმართლეს, კომპანიას უკვე გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა და ახლა გადის გზშ-ის ეტაპს, მოცემული დოკუმენტი კი წარმოადგენს გზშ-ის ანგარიშის დანართს;	შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, აღნიშნული ჩანაწერი არის ტექნიკური ხარვეზი.

3	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ხმაურის თავში (N2.13.1) მოცემული მონაცემები ზოგადი სახისაა და წარმოადგენს კანონებსა და ტექნიკურ რეგლამენტებში არსებული ინფორმაციის დუბლირებას. ამასთან, საგულისხმოა, რომ საწარმოს გენ. გეგმაზე დატანილი არ არის ხმაურწარმომქმნელი დანადგარები.	ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებით. დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოდგენილია ტექნოლოგიურ ციკლში მონაწილე თითოეული დანადგარის ხმაურის დონის შესახებ ინფორმაცია, ასევე საწარმოს გენ-გეგმა ხმაურის წყაროების დატანით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სადნობი ღუმელები, სატრანსფორმატორო, კაზმის მომზადების უბანი, აირგამწმენდი დანადგარი, აგლომერაციის გამწოვი სისტემა და ელექტრო ქვესადგური. მოწყობილობების მიერ გამოწვეული ხმაურის დონე კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით შეადგენს 95 დბ-ს. იმის გათვალისწინებით, რომ ხმაურის გამომწვევი დანადგარები განთავსებულია დახურულ შენობაში, რაც წარმოადგენს ხმაურდამცავ ბარიერს (ხმაურს ამცირებს მინიმუმ 15-%-ით). გზშ-ის ანგარიშში მოცემული შეფასების მიხედვით, საწარმოო ობიექტისგან მოსალოდნელი ხმაური არ აღემატება დასაშვებ ნორმებს ახლომდებარე მოსახლეობისთვის (110 მ). ამასთან, საწარმოს მიერ გატარებული იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

4	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საწარმო აგლომერაციის ხაზის გარეშე უკვე ფუნქციონირებს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებით, საინტერესოა ჩატარებული აქვს თუ არა კომპანიას ხმაურის მონიტორინგი უახლოეს მოსახლესთან და რა შედეგები იქნა მიღებული;	შპს „ფერო ელოის ფროდაქშენს“ გზშ-ის ანგარიშში ექსპლუატაციისას საწარმოს სრული დატვირთვის ეტაპზე გათვალისწინებული აქვს ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება კვარტალში ერთხელ უახლოეს მოსახლესთან.
5	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშში მოცემული არ არის სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ, საწარმოსთვის ნედლეულის მომწოდებელი კონკრეტული კომპანიების შესახებ (ვისგან შემოდის, რა ინტენსივობით და რა პირობების დაცვით);	ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ძირითადი ნედლეული, მანგანუმის კონცენტრატის შემოტანას ახორციელებს ზესტაფონიდან. კოქსის შემოტანა ხორციელდება რუსეთიდან ან ირანიდან. კვარციტის, კირქვის და დოლომიტის შემოტანას ახორციელებს დედოფლისწყაროს კარიერებიდან, ხოლო რკინის ბურბუშელისა და ხენჯის მომარაგებას ახორციელებს რუსთავში არსებული საწარმოებიდან, რომელთაც წარმოექმნება აღნიშნული მასალები. საწარმოში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირება ძირითადად განხორციელდება ავტოტრანსპორტით, რომლის სიხშირე დღეში არ აღემატება 30 ერთეულს. მათი მოძრაობა იგეგმება მხოლოდ დღის საათებში, ხოლო ღამის საათებში აკრძალული იქნება როგორც ნედლეულის, ასევე პროდუქციის გატანა-შემოტანა. სატვირთოს ძარა იქნება გადახურული ბრეზენტით ან მისი მაგვარი მასალებით, ასევე შემოსასვლელი გზების არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ამტვერიანების შემთხვევაში მოხდება მათი მორწყვა.

6	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	როგორც გზშ-ის ანგარიშიდან ირკვევა, კირქვისა და კირის საფქვავი ხაზის დემონტაჟი განხორციელდა 2019 წელს. თუმცა, დოკუმენტაციაში აქტიურად ვხვდებით აღნიშნული ხაზის ტექნოლოგიური პროცესის, მტვერდამჭერი სისტემების, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო რესურსის შესახებ ანალიზს, რაც არარელევანტურია და დოკუმენტში ართულებს დაგეგმილი საქმიანობის შესახებ არსებული ინფორმაციის ამოკითხვას;	ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია, წარმოდგენილი განმარტების თანახმად საწარმოში არსებული ნებართვით განსაზღვრული საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების სრული სურათის შექმნის მიზნით გზშ-ის ანგარიშში მოცემულია დეტალური ინფორმაცია საწარმოს არსებული ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის შესახებ, ხოლო მისი დემონტაჟი განხორციელდა 2019 წელს.
7	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშიდან ირკვევა, რომ საწარმოში არ მოხდება ფეროსილიციუმის და ფეროქრომიდის წარმოება, რომლის ნებართვა გააჩნდა საწარმოს, მოხდება მხოლოდ ფეროსილიკომანგანუმის წარმოება. მიმართა თუ არა კომპანიამ სამინისტროს ფეროსილიციუმისა და ფეროქრომიდის წარმოებაზე გაცემული ნებართვის გაუქმების თაობაზე?	შპს „ფერო ელოის ფროდაქშენს“ ფეროსილიციუმისა და ფეროქრომიდის წარმოებაზე გაცემული ნებართვის გაუქმებასთან დაკავშირებით არ მიუმართავს. აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია მოცემულია გზშ-ის ანგარიშში.
8	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშის თავში 3.3.1 (დაბინძურების წყაროები) ვკითხულობთ - „საწარმოს ფუნქციონირების ანალიზის საფუძველზე დადგინდა გარემოს უმთავრესი დამაბინძურებელი წყაროები: მომზადებისას დაზუსტდება“. გაუგებარია რის დაზუსტებაზეა საუბარი ან რის მომზადებისას დაზუსტდება, შესაბამისად გაურკვეველია წარმოდგენილი ინფორმაცია საბოლოოა თუ არა;	აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს. სააგენტოში წარმოდგენილია გზშ-ის ანგარიში რომელიც წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომზადებული საბოლოო დოკუმენტს.
9	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშის თავში 4.1.1. ვკითხულობთ - „რაც შეეხება შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხანას, საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსის ზონაში არ ხვდება შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ცემენტის ქარხნიდან გაფრქვევის წყაროების წერტილები, 500 მეტრიან ზონაში ხვდება	ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია კუმულაციურ ზემოქმედებასთან

		ქარხნის ის ტერიტორია, რომელშიც არ ფიქსირდება გაფრქვევის წყაროები“. აღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად, საჯარო რეესტრის ციფრულ რუკაზეც კი ჩანს რომ საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 420 მეტრში, ხოლო შენობიდან დაახლოებით 480 მეტრში ხვდება შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული საწარმოს გაფრქვევის წყარო. რუკაზე ნათლად ჩანს, საწარმოდან გაფრქვეული მტვერი, რომელიც ქარის მიმართულების გათვალისწინებით პირდაპირ ვრცელდება შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ საკუთრებაში არსებული საწარმოსკენ. აღნიშნული საკითხი გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს კორექტირებას. ამასთან, ეს საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში, ფონურ გაფრქვევის წყაროდ.	დაკავშირებით. კერძოდ წარმოდგენილია კორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, აღნიშნულ პროექტში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის გამოთვლებისას გათვალისწინებულია ასევე შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოდან გაფრქვევის წყაროს ინტენსივობები, რომლებიც ხვდებიან 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში და კუმულაციურ ზემოქმედებაშია საწარმოსთან.
10	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	საგულისხმოა, რომ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ანგარიშში, ზდკ-ს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია და არის ზღვართან ახლოს. ის ფაქტი, რომ კომპანიას გათვალისწინებული არ აქვს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საწარმო როგორც კუმულაცია, ბადებს ეჭვს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სპეციალურად, რათა საწარმოს გაფრქვევები ჩამჯდარიყო ნორმაში და კუმულაციური ზემოქმედების თვალსაზრისით ადგილი არ ჰქონოდა ზღვრულად დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბებას; კონკრეტულად ეს ნაწილი გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და შესწავლას;	ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით. კერძოდ წარმოდგენილია კორექტირებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, აღნიშნულ პროექტში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის გამოთვლებისას ასევე გათვალისწინებულია შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოდან გაფრქვევის წყაროს ინტენსივობები, რომლებიც ხვდებიან 500 მეტრიან რადიუსის ზონაში და კუმულაციურ ზემოქმედებაშია საწარმოსთან. გათვლების შედეგების მიხედვით,

			საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (110 მ) მიმართებით და არც 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევებად. ამასთან სააგენტოს 2023 წლის 13 იანვრის N 12/ს ბრძანებით განესაზღვრა პირობა, რომ შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება.
11	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშში სათანადო ყურადღება არ ეთმობა უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულებას. როგორც ზემოთ წარმოდგენილი ორთოფოტოდან ჩანს, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ საწარმოში წარმოქმნილი მტვერი პირდაპირ მოემართება შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ საწარმოსკენ და ვრცელდება სამხრეთით არსებული დასახლებული ზონისკენ. საგულისხმოა, რომ იმავე საწარმოო ზონაში აგრეთვე განთავსებულია შპს „რუსელოისის“ და სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ საწარმოები, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ხვდება საწარმოს 500 მეტრიანი ზონის გარეთ, ქარის	გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ქარის სხვადასხვა მიმართულებებისა და შტილის განმეორადობის შესახებ ინფორმაცია. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, გათვალისწინებული იქნა ფონური მახასიათებლები ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით (125-250 ათასი მოსახლეობა) და საწარმოს სიახლოვეს არსებული შპს „ინდუსტრია კირის“ კირის წარმოების, შპს „ჯეოფერო მეტალის“ და შპს „ობ გრუპის“ ფეროშენადნობების წარმოების, შპს „მაქს იმპორის“, შპს „ლევ 2019“-ის

		მიმართულების გათვალისწინებით შესაძლოა განხილული იყოს როგორც დამატებით კუმულაციური ეფექტი;	(ყოფილი შპს „თეიმურაზ ჯანგულაშვილი და კომპანია“) ცემენტის წარმოების ქარხნებიდან და შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ გაფრქვევის ის წყაროები, რომელიც ხვდება 500 მეტრიან რადიუსის ზონაში.
12	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება განხილულია როგორც „საშუალო“. რის საფუძველზე არის აღნიშნული შეფასება მოცემული? მაშინ როდესაც ზდკ-ს მაჩვენებელი ზღვართან საკმაოდ ახლოსაა და კუმულაციური საკითხებიც საჭიროებს კორექტირებას, კომპანიის მხრიდან ზემოქმედების ამგვარი შეფასება არარელევანტურია;	გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე, კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ რადგან საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი მავნე ნივთიერების კონცენტრაცია, ასევე კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით არ გადააჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (110 მ) მიმართებით და არც 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე, ამ თვალსაზრისით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება გზშ-ის ანგარიშში შეფასებულია როგორც საშუალო.
13	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის დოკუმენტაციიდან არ ირკვევა, მოწყობილია თუ არა საწარმოს ეზოში სანიაღვრე არხები; თუ არ არის მოწყობილი, რამდენად უსაფრთხოა ტერიტორიის მორეცხვის შედეგად წარმოქმნილი ნარეცხი წყლის გრუნტში გაშვება;	გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოო ტერიტორიიდან წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი შეწონილი ნაწილაკებით არ არსებობს, რადგან საწარმოო პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში. ასევე საწარმოში გამოყენებული ყველა სახის ნედლეული და პროდუქცია განთავსებული იქნება დახურულ შენობაში. შენობის გარე ტერიტორია კვირაში ერთხელ სუფთავდება და იწმინდება, რათა არ მოხდეს რაიმე სახით სანიაღვრე წყლების დაბინძურება. სანიაღვრე წყლები მოხვდება ქ. რუსთავის სანიაღვრე სისტემაში.
14	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშში არ არის ინფორმაცია იმის თაობაზე, მოხდება თუ არა საწარმოს ტერიტორიის დატოვებამდე პროდუქციით	გზშ-ის ანგარიშის თანახმად მოხდება მისასვლელი გზების არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში

		დატვირთული ავტოტრანსპორტის ზედმეტი მტვრისგან გაწმენდა, რათა ტრანსპორტირების ეტაპზე შემცირდეს მტვრის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება;	ამტვერიანების შემცირების მიზნით მორწყვა. ამასთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე კომპანიის კონსულტანტმა განმარტა, რომ ვინაიდან საწარმოს ტერიტორია პერიოდულად სუფთავდება, საწარმოდან გამოსული მანქანა არ იქნება მტვრით დაბინძურებული, თუმცა ასეთის არსებობის შემთხვევაში მოხდება მისი გასუფთავება.
15	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის დოკუმენტაციას თან არ ახლავს სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ ქ რუსთავის მუნიციპალიტეტთან სატრანსპორტო მარშრუტის შეთანხმების/კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია;	გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დღის განმავლობაში ჯამურად განხორციელდება არაუმეტეს 30 სატრანსპორტო ოპერაცია, მათი მოძრაობა იგეგმება მხოლოდ დღის საათებში, ხოლო ღამის საათებში აკრძალული იქნება როგორც ნედლეულის, ასევე პროდუქციის გატანა-შემოტანა. საწარმოში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება ქ. რუსთავის მშენებელთა ქუჩა, რომელიც არ არის დასახლებული. საწარმოში ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის, ქ. რუსთავის მერიის მიერ შერჩეულია ქალაქის შემოვლითი გზებით მოძრაობა, ხოლო ქალაქში დასახლებულ პუნქტებთან სატვირთო მანქანების მოძრაობა აკრძალულია, რომელიც რეგულირდება შესაბამისი მოძრაობის ამკრძალავი ნიშნებით.
16	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ნარჩენების მართვის გეგმაში, წიდა განხილულია როგორც არასახიფათო ნარჩენი, თუმცა, წარმოდგენილი არ არის აღნიშნული წიდის ლაბორატორიული კვლევის შედეგები;	ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ წარმოდგენილ იქნა წიდის სახიფათობის შესახებ ლაბორატორიულ კვლევის შედეგები.
17	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კომპანია განახორციელებს ნარჩენი წიდის რეალიზაციას სამშენებლო მიზნებისთვის	წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში წარმოქმნილი სილიკომანგანუმის შემცველი წიდა

		საჭირო პროდუქციის დასამზადებლად. წიდის განთავსების და მართვის პრობლემა ყოველთვის აქტიურად იდგა, თუმცა ბოლო პერიოდში განსაკუთრებულად ბევრი საწარმო აღნიშნავს, რომ უჭირთ მისი მართვა ან რეალიზაცია შესაბამისად საჭიროა შპს „ფერო ელოის ფროდაქშენმა“ გზშ-ის ეტაპზე წარმოადგინოს იმ მეწარმეების თაობაზე ინფორმაცია, რომლებიც აღნიშნულ წიდას შეიძენენ როგორც პროდუქტს და გამოიყენებენ საკუთარ წარმოებაში;	დროებით საწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე და შემდგომ მისი რეალიზაცია ხდება სხვადასხვა კომპანიებზე, მოთხოვნილების მიხედვით.
18	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშში ნარჩენების მართვის მნიშვნელოვნება შეფასებულია როგორც „საშუალო“. აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია იმის გათვალისწინებით, რომ წიდის, როგორც ნარჩენის მართვა წარმოადგენს საწარმოების უმეტესობის უმთავრეს გამოწვევას;	როგორც აღინიშნა წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოში წარმოქმნილი სილიკომანგანუმის შემცველი წიდა დროებით საწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე და შემდგომ მისი რეალიზაცია ხდება სხვადასხვა კომპანიებზე, მოთხოვნილების მიხედვით. ხოლო სხვა სახის ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით გზშ-ის ანგარიშში განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები.
19	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშში მოცემული არ არის საწარმოს (კირქვისა (ფილერი) და კლინკერის დაფქვის წისქვილი) დემონტაჟის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების საკითხები, ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული სკოპინგის დასკვნითაც იყო მოთხოვნილი.	გზშ-ის ანგარიშის თანახმად, კირქვისა (ფილერი) და კლინკერის დაფქვის წისქვილის დემონტაჟი განხორციელდა 2019 წელს შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში არ არის განხილული აღნიშნული საწარმოს დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენის შემდგომი მართვის საკითხი.

20	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატივები არ არის სათანადოდ დასაბუთებული გარემოსდაცვითი მიმართულებით. ალტერნატივების განხილვის ძირითადი მიმართულება არის ეკონომიკური სარგებელი, მაშინ როდესაც დიდი ნაწილი უნდა ეთმობოდეს იმას, თუ რატომ არის კონკრეტულად ეს საქმიანობა, კონკრეტულად შერჩეულ ტერიტორიაზე გარემოსთვისა და უახლოესი მაცხოვრებლებისთვის უკეთესი. ამასთან, არაქმედების ალტერნატივის პირველი აბზაცი ფაქტობრივად არ იკითხება. გაუგებარია რა კავშირი აქვს ნულოვან ალტერნატივას იმასთან, რომ ქვეყანაში მიღებული ნორმატივების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების მიმართ დაწესებული მოთხოვნების დაკმაყოფილება დაკავშირებულია ისეთი ტექნიკური დანადგარებისა და საშუალებების შეძენასთან, რომელთა ღირებულება და ექსპლუატაციის პირობებში მათი განახლება-პროფილაქტიკა საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.	ანგარიშის თანახმად, საწარმოს განთავსების ალტერნატივის განხილვა არ მომხდარა რადგან აგლომერაციის უბანი მთლიანად არის დაკავშირებული ფეროშენადნობების წარმოებასთან. აგლომერაცია, თავისი დანიშნულებით წარმოადგენს ერთიან სისტემას ფეროშენადნობების წარმოების ქარხნისათვის, აგლომერაციის წარმოება გულისხმობს ფეროშენადნობების საწარმოებში წარმოქმნილი ასპირაციული მტვრისა და ნედლეულის წვრილი ფრაქციის შეცხობას, ხოლო შეცხობილი მასა გამოიყენება შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ ამავე საწარმოს ღუმელებში ნედლეულის სახით .
21	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშის მე-14 თავში აღნიშნულია, რომ „ამ ღონისძიებებმა ძირითადად გამოავლინა მოსახლეობის დაინტერესება შესაძლებელი დასაქმების თვალსაზრისით, რაც მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობისათვის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გარემოსდაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა“ - რას ეყრდნობა ეს ჩანაწერი? ჩაატარა თუ არა კომპანიამ შესაბამისი გამოკითხვა ქ. რუსთავის მოსახლეობასთან ან შეხვდა თუ არა უახლოესი დასახლებული პუნქტის მაცხოვრებლებს, ვისთან კომუნიკაციის შედეგადაც გამოიკვეთა აღნიშნული დამოკიდებულება პროექტის მიმართ?	ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოო ობიექტის განლაგების ტერიტორიის მახლობელი უბნების, მოსახლეობის დამოკიდებულების დადგენის მიზნით ჩატარდა რიგი ღონისძიებები, შედეგად გამოვლინდა მოსახლეობის დაინტერესება შესაძლო დასაქმების თვალსაზრისით. დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციაში ასევე აღნიშნულია, რომ პროექტთან დაკავშირებულ საჯარო განხილვის

			დროს დიდი ყურადღება გამახვილდა ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების თვალსაზრისით, საწარმოში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობაზე და მათი სამუშაო გარემოს უსაფრთხოებაზე.
22	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშის მე-14 თავში, სადაც მოცემული უნდა იყოს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილ შენიშვნებსა და მოსაზრებებზე რეაგირების საკითხი, იკითხება ზოგადი და გაურკვეველი ინფორმაცია. დოკუმენტში არ არის ასახული საჯარო განხილვის ფარგლებში გამოთქმული შენიშვნების მონახაზი და მათზე გაცემული პასუხები;	ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია, კერძოდ აღნიშნულია, რომ საჯარო განხილვის დროს დიდი ყურადღება გამახვილდა ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების თვალსაზრისით, საწარმოში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობაზე და მათი სამუშაო გარემოს უსაფრთხოებაზე. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების თვალსაზრისით საწარმოში არსებულ ღუმელებზე დამონტაჟდა თანამედროვე მაღალი ეფექტურობის სახელოებიანი ფილტრები, ასევე დაგეგმილ აგლომერაციის ღუმელებზე დამონტაჟდება ორსაფეხურიანი გამწმენდი სისტემა, ჯამური ეფექტურობით 98 %, რომელის უზრუნველყოფს ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის იმ დონემდე შემცირებას, რომ არ იყოს ატმოსფერულ ჰაერში დადგენილი ნორმების გადაჭარბება. საწარმოში ექსპლუატაციის პირობების შემდეგ იზრდება დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, ასევე დაცულია მათი სამუშაო გარემოში ყველა ის უსაფრთხოების ნორმები, რომელიც საქართველოში არსებული კანონმდებლობითაა მოთხოვნილი.

23	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;	გზშ-ის ანგარიშში მოცემულია საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით და დამატებითი ტექნოლოგიური ხაზის მოწყობით გამოწვეულ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. გზშ-ის ანგარიშში დეტალურად არის განხილული საწარმოს არაქმედებით და საწარმოს ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები.
24	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გეგმავს თუ არა კომპანია ქალაქისთვის რაიმე გარემოსდაცვით ღონისძიების ჩატარებას, მაგ. გამწვანებას?	გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია.
25	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ”	გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს უკვე გააჩნია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და ფუნქციონირებს, აუცილებელია შემოწმდეს ის თუ რამდენად შეასრულა კომპანიამ სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობები და მხოლოდ შემდგომ გაიცეს ახალი გადაწყვეტილება. ამის აუცილებლობა არსებობს, რადგან ქ. რუსთავის პროექტებზე ძალიან ხშირია, როდესაც დოკუმენტურად (გზშ-ის და ზდგ-ის ანგარიშებში) გაფრქვევების ნაწილში ყველაფერი ნორმის ფარგლებში ჯდება, თუმცა რეალობა სხვაგვარია. არსებული საწარმოები ინტენსიურად არღვევენ სწორი ექსპლუატაციის პირობებს, არ იყენებენ სათანადო ფილტრებს და შესაბამისად ქალაქში ჰაერი მუდმივად დაბინძურებულია. იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტრო დღეს ენდობა კომპანიის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში ასახულ მონაცემებს, კარგი იქნება ქ. რუსთავში, უკვე არსებული, ფუნქციური საწარმოების (რომლებიც ცვლიან ექსპლუატაციის პირობებს) გაფრქვევების გადასამოწმებლად ადგილზე გამოაგზავნით შესაბამისი კომპეტენციის ჯგუფი, რომელიც საკუთარი	სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ საწარმოს ინსპექტირების შედეგად 2021 წლის 18 თებერვალს შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ N058961 და N002332 ოქმები, აღნიშნულის გათვალისწინებით 2019 წლის 15 ივლისის N2-663 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით განსაზღვრულ იქნა გონივრული ვადები. აღნიშნული გონივრული ვადების შესრულების მდგომარეობის შესახებ (თითოეული ვალდებულების მითითებით) ინფორმაცია წარმოდგენილია დამატებითი ინფორმაციის სახით.

		ხელსაწყოებით და ტექნიკური აღჭურვილობით გაზომავს და გადაამოწმებს საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს. ამით არამხოლოდ შესაძლებელი გახდება კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება, არამედ გარკვეულწილად შესაძლებელი გახდება შეიქმნას შესაბამისი ბაზა, სადაც ასახული იქნება შესაბამისი მონაცემები ქალაქის მსხვილი და შედარებით მცირე დამბინძურებლების შესახებ.	
26	სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ"	აღსანიშნავია, რომ მოცემული გზშ-ის ანგარიში შესრულებული არ არის ხარისხიანად და წარმოადგენს უპატივცემულობას იმ პირების მიმართ, რომლებიც ამ ანგარიშს უნდა გაეცნონ და გაიაზრონ მისი შინაარსი. დოკუმენტაცია სრულიად გაუმართავი, როგორც ტექნიკურად, ისე გრამატიკულად, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის მკითხველისთვის პროექტთან დაკავშირებული რელევანტური ინფორმაციის აღქმას, მაგ. საწარმოსთვის გათვალისწინებული ფილტრების საკითხების ნათლად გაგებას. დოკუმენტში სხვადასხვა არარელევანტური ინფორმაციის ასახვა მიანიშნებს, რომ მომამზადებელი ცდილობს გაზარდოს გზშ-ის დოკუმენტის მოცულობა. კონსულტანტსა და კომპანიას უნდა ესმოდეს, რომ საზოგადოებას აინტერესებს კონკრეტული და მარტივად გასაგები ინფორმაცია და დეტალები პროექტზე. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ არატექნიკურ რეზიუმეზე.	გზშ-ის ანგარიშში დაშვებულია გარკვეული რაოდენობის, ტექნიკური და სტილისტური ხარვეზები როგორც უკვე აღინიშნა სააგენტოს მიერ წარმოების ეტაპზე გამოკვეთილი უზუსტობებისა და დასაზუსტებელი საკითხების, მათ შორის სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ" მიერ სააგენტოში წერილობით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით 2022 წლის 24 აგვისტოს (წერილი N 21/4733) წერილის საფუძველზე შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება, ხოლო შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის" მიერ წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაზე (წერილი N5036) სააგენტოს 3 ოქტომბრის (წერილი N 21/5814) წერილის საფუძველზე კვლავ შეჩერდა ადმინისტრაციული წარმოება და შპს „ფერო ელოის ფროდაქშენს" დაევალა დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენა. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის" მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N5932).